

სასამართლომ დავა კერძო პირის სასარგებლოდ გადაწყვიტა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ინდემწარმე "გიორგი შიხიაშვილის" სარჩელი საგადასახადო ორგანოს მიმართ.

ამ თემასთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სპიკერმა მოსამართლემ მირანდა ერემაძემ პრესკონფერენცია გამართა. როგორც მან განაცხადა, საგადასახადო ორგანოს ბრძანებით დაყადდა ინდ. მეწარმე "გიორგი შიხიაშვილის" კუთვნილი ქონება იმ მოტივით, რომ ინდ. მეწარმე "გიორგი შიხიაშვილს" სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად ერიცხებოდა დავალიანების თანხა 32877 ლარი.

სასამართლომ საქმის განხილვის შედეგად გამოარკვია, რომ ინდემწარმე "გიორგი შიხიაშვილის" არ გააჩნია რაიმე სახის დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე და მასზე თანხების დარიცხვა განხორციელდა არასწორად.

ამდენად, სასამართლომ საგადასახადო დავალიანების არარსებობის ფაქტი საფუძვლად დაუდო გიორგი შიხიაშვილის ქონების დაყადების შესახებ ბრძანების გაუქმებას.